



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 25/00

„14“ 2010

ქ. თბილისი

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ზ”
ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ილია გოცირიძე

„13“ 2010 წელი

ეგზ. N2

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
სამინისტროში საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების
ფინანსური (კამერალური) აუდიტის ჩატარების შესახებ

შინაარსი/სამიზელი:

ნაწილი I – შესავალი გვ.2

ნაწილი II - ძირითადი ტექსტი გვ.3

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1 სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი
საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა გვ.3

1.2 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი
ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა გვ.17

1.3 გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშგებაში
მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა გვ.17

1.4 დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან
შესაბამისობის მდგომარეობა და რეალობა გვ.20

2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა გვ.22
3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდგომარეობა გვ.23
- ნაწილი III- აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი გვ.25
- ნაწილი IV - ხელმოწერები გვ.25

ნაწილი I – შესავალი

ფინანსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 4 მარტის N16/43 ბრძანება.

აუდიტის ჯგუფი - საქართველოს კონტროლის პალატის (ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი) უფროსი აუდიტორი ანა ალავერდაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი) აუდიტორები ზვიად ლეჟავა და გიორგი კაპანაძე.

აუდიტის პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის სახე - ფინანსური (კამერალური).

აუდიტის მეთოდი - წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები აუდიტის ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილ იქნა ერთობლივად.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს იურიდიული მისამართია: 0114 ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N6 ტელ: 72-72-24, 72-72-34; ფაქსი: 72-72-34. www.moe.ge

აუდიტი დაიწყო 2010 წლის 4 მარტს დამთავრდა 2010 წლის 26 მარტს.

გამოყენებული ნორმატიული აქტების ნუსხა წარმოდგენილია დანართის სახით.

შემოკლებანი:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო – სამინისტრო;

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი – მინისტრი;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ფინანსთა სამინისტრო;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური – სახაზინო სამსახური;
5. „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი – წლიური საბიუჯეტო კანონი;
6. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ.

ნაწილი II – ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1. აუდიტის შედეგების მიხედვით დადგენილი გარემოებები და შეფასება:


1. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა

ინფორმაცია სამინისტროს მიერ წარდგენილი 2009 წლის საბიუჯეტო განაცხადის შესახებ, დამტკიცებული ბიუჯეტის, წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული ასიგნებების მთლიან მოცულობაში განხორციელებული ცვლილებებისა და დაზუსტებული ბიუჯეტის შესახებ მოცემულია წინამდებარე ცხრილში და ასევე გამოსახულია გრაფიკულად:

(ათას ლარებში)						
ორგანიზაციული კოდი	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები	2009 წლის წარდგენილი განაცხადი	2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი I (30.12.2008 წ.)	2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი II (11.07.2009 წ.)	2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი III (04.12.2009 წ.)	2009 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი
1	2	3	4	5	6	7
38 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	37 178,8	45 178,8	41 341,8	38 033,6	38 033,6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	1 285	1 285	1 285	1 285	1 285
1	ხარჯები	28 146,3	28 546,3	27 765,1	25 656,6	25 881,47
1.1	შრომის ანაზღაურება	10 563,7	10 563,7	10 563,7	10 523,9	10 624,92
1.2	საქონელი და მომსახურება	6 752,0	6 762,0	6 462,0	6 024,8	5 755,924
1.5	სუბსიდიები	9 366,9	9 606,9	9 125,7	7 500,2	7 789,861
1.6	გრანტები	0	0	0	0	0

1	2	3	4	5	6	7
1.7	სოციალური უზრუნველყოფა	81,5	81,5	81,5	75,5	94,835
1.8	სხვა ხარჯები	1 382,2	1 532,2	1 532,2	1 532,2	1 615,930
2	არაფინანსური აქტივების ზრდა	8 872,5	16 632,5	13 576,7	12 377,0	12 133,580
3	ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	0
4	ვალდებულებების კლება	160,0	0	0	0	18,550

(ათას ლარებში)



აუდიტის პერიოდში, სამინისტროს მიერ „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, იმ პერიოდში მოქმედი, საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განხორციელდა 20 ცვლილება (ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობები N8, N16, N87, N142, N170, N193, N290, N291, N396, N397, N421, N422, N497, N549, N589, N598, N621, N745, N773, N797). შედეგად, 2009 წლის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა 38 033,6 ათასი ლარი შეადგინა. განხორციელებული ცვლილებების საერთო მოცულობამ 667,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისობაშია ზემოაღნიშნული კანონით დადგენილ ნორმებთან.


სამინისტროს ნაერთი ბალანსის მიხედვით, საკასო და ფაქტობრივი შესრულება მოცემულია წინამდებარე ცხრილში:

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა	გადახდა	ფაქტობ- რივი ხარჯი	სხვაობა გადახდასა და მოთხოვნას შორის (4-3)	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (5-4)	ათვისება% (4/2*100)
1	2	3	4	5	6	7	
სულ ასიგნება	38 033,6	36 267,3	36 255,8	-	-11,5	-	95,3
ხარჯები მათ შორის:	25 881,5	24 709,7	24 698,2	28 691,5	-11,5	3 993,3	95,4
შრომის ანაზღაურება	10 624,9	10 567,6	10 567,6	10 564,8	0	-2,8	99,4
საქონელი და მომსახურება	5 755,9	5 090,6	5 079,1	5 663,1	11,5	584,0	88,2
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	4 171,1	0	4 171,1	-
სუბსიდიები	7 789,9	7 388,7	7 388,7	6 629,6	0	-759,2	94,8
გრანტები	0	0	0	0	0	0	-
სოციალური უზრუნველყოფა	94,8	89,0	89,0	89,0	0	0	93,8
სხვა ხარჯები	1 615,9	1 573,8	1 573,8	1 573,8	0	0	97,4
არაფინანსური აქტივების ზრდა	12 133,6	11 540,1	11 540,1	0	0	-	95,1
ვალდებულებების კლება	18,6	17,5	17,5	0	0	-	94,0
შენიშვნა: „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლით ფაქტობრივ ხარჯში ასახულია ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა							

სამინისტროს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმებისა და ასევე გადახდის (საკასო ხარჯი) შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია გრაფიკულად:

(ათას ლარებში)



თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციის მიხედვით საკასო და ფაქტობრივი ხარჯების შესრულების მდგომარეობა წარმოდგენილია ცხრილების სახით:

სამინისტროს აპარატი (ორგანიზაციული კოდი 3801)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა და გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)	ათვისება% (3/2*100)
1	2	3	4	5	6
სულ ასიგნება	3 990,7	3 946,4	-	-	99
ხარჯები მათ შორის:	3 705,3	3 662,9	4 340,4	667,5	99
შრომის ანაზღაურება	2473,0	2472,6	2 469,8	-2,8	
საქონელი და მომსახურება	1 163,7	1 128,6	1 140,4	11,8	97
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	668,5	668,5	
სოციალური უზრუნველყოფა	50,0	49,3	49,3	0	99
სხვა ხარჯები	18,6	12,5	12,5	0	97
არაფინანსური აქტივების ზრდა	278,6	276,7	0	-	99,3
ვალდებულებების კლება	6,7	6,7	0	-	100

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის სხვაობა განპირობებულია შემდეგით:

„შრომის ანაზღაურების“ მუხლში 2,8 ათასი ლარი პრემიის თანხა დაბრუნებულია ბიუჯეტში; „საქონელი და მომსახურების“ მუხლში 11,8 ათასი ლარი წარმოიქმნა ქვემუხლებში მარაგების ჩამოწერით და წლის ბოლოს საწვავის შემენით, რომელიც აისახა გაუხარჯავ მარაგებში.

სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები(ორგანიზაციული კოდი 3802)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა და გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)	ათვისება% (3/2*100)
1	2	3	4	5	6
სულ ასიგნება	707,5	680,2	-	-	96
ხარჯები მათ შორის:	697,1	669,8	684,1	14,3	96
შრომის ანაზღაურება	542,0	538,9	538,9	0	99
საქონელი და მომსახურება	149,8	126,7	125,5	-1,2	84,6
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	15,5	15,5	-
სოციალური უზრუნველყოფა	5,0	4,0	4,0	0	80
სხვა ხარჯები	0,2	0,18	0,18	0	90
არაფინანსური აქტივების ზრდა	10,4	10,4	0	-	100

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის, „საქონელი და მომსახურების“ მუხლით, სხვაობა წარმოადგენს მარაგების ბრუნვის შედეგს (-1,2 ათასი ლარი).

სამინისტროს პროგრამები(ორგანიზაციული კოდი 3803)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა და გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)	ათვისება% (3/2*100)
1	2	3	4	5	6
სულ ასიგნება	1 898,7	1 892,7	1 861,8	-30,9	100

ხარჯები მათ შორის:	1 898,7	1 892,7	1 861,8	-30,9	100
საქონელი და მომსახურება	383,6	378,4	238,2	-30,9	99
სხვა ხარჯები	1 515,0	1 514,3	1 514,3	0	100

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (30,9 ათასი ლარი), „საქონელი და მომსახურების“ მუხლში, სხვაობა წარმოადგენს წინასწარ გადარიცხულ თანხას რომლის ფაქტიური შესრულება შეთანხმების საფუძველზე ასახული იქნება 2010 წელს.

სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი (ორგანიზაციული კოდი 38 04)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა და გადახდა (საკასო)	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)	ათვისება% (3/2*100)
1	2	3	4	5	6
სულ ასიგნება	614,0	505,7	-	-	82
ხარჯები მათ შორის:	544,0	451,7	465,8	14,0	83
შრომის ანაზღაურება	430,2	377,0	377,0	0	88
საქონელი და მომსახურება	108,0	74,7	65,2	-9,4	69,2
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	23,5	23,5	-
სოციალური უზრუნველყოფა	3,8	-	-	-	0
სხვა ხარჯები	2,0	-	-	-	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	70,0	54,0	-	-	77

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის, „საქონელი და მომსახურების“ მუხლში, სხვაობა (-9,4 ათასი ლარის ოდენობით) გამოწვეულია მარაგების ბრუნვით.

სატყეო დეპარტამენტი (ორგანიზაციული კოდი 38 06), მათ შორის „ხარაგაულის
სათემო ტყის საცდელი პროექტი“ KFW (კოდი 38 15 11)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა და გარიდახდა (საკასო)	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)	ათვისება% (3/2*100)
1	2	3	4	5	6
სულ ასიგნება	7 634,0	7 060,7	-	-	93
ხარჯები მათ შორის:	7 454,0	6 865,7	7 320,7	455,0	93
შრომის ანაზღაურება	4 638,7	4 638,5	4 638,5	0	100
საქონელი და მომსახურება	2 358,8	1 881,2	2 286,4	405,2	80
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	332,9	332,9	-
სუბსიდია	360,5	283,2	-	-283,2	-
სოციალური უზრუნველყოფა	16,0	16,0	16,0	0	100
სხვა ხარჯები	80,0	46,8	46,8	0	59
არაფინანსური აქტივების ზრდა	180,0	195,0	-	-	100

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის, „საქონელი და მომსახურების“ მუხლში (405,2 ათასი ლარი), სხვაობა გამოწვეულია მდგრადი განვითარების სააგენტოდან მარაგების უსასყიდლოდ მიღებითა და ხარჯვით (378,9 ათასი ლარი), ხოლო დანარჩენი შესაბამის ქვემუხლებში მარაგების ბრუნვით.

„სუბსიდიის“ მუხლით (მინუს 283,2 ათასი ლარი, კოდი - 38 15 11) გათვალისწინებულმა ასიგნებამ ასახვა ჰპოვა, მხოლოდ საკასო ხარჯებში (მიზეზი ახსნილია აქტის შესაბამის ნაწილში).

გარემოს დაცვის ინსპექცია (ორგანიზაციული კოდი 38 07)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა გადახდასა და მოთხოვნას შორის (4-3)	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (5-4)	ათვისება % (4/2*100)
1	2	3	4	5	6	7	8
სულ ასიგნება	4 352,3	4 261,0	4 249,5	4 207,0	-11,5	-	97

ხარჯები მათ შორის:	3 825,3	3 781,3	3 769,8	4 207,0	-11,5	437,2	98
შრომის ანაზღაურება	2 541,0	2 540,6	2 540,6	2,540,6	0	0	100
საქონელი და მომსახურება	1 264,3	1 221,0	1 209,4	1 358,1	-11,5	148,7	95
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	288,4	-	288,4	-
სოციალური უზრუნველყო ფა	20,0	19,7	19,7	19,7	0	0	99
არაფინანსური აქტივების ზრდა	527,0	479,8	479,8	-	0	-	91

გადახდასა და მოთხოვნას შორის (-11,5 ათასი ლარი) სხვაობა წარმოქმნილია დეკემბრის ბოლოს ინსპექციის მიერ ხაზინაში წარდგენილ საგადასახადო დავალებაში საბანკო რეკვიზიტებში დაშვებული მექანიკური შეცდომის გამო, რის შედეგადაც წლის ბოლომდე ვერ მოესწრო დაზუსტებული საგადასახადო დავალების ხაზინაში წარდგენა. შესაბამისად, წარმოიქმნა ზემოაღნიშნული დავალიანება.

სხვაობა, ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის „საქონელი და მომსახურების“ მუხლში (148,7 ათასი ლარი) გამოწვეულია შესაბამის ქვემუხლებში ჩამოწერილ და შეძენილ მარაგებს შორის სხვაობით.

სსიპ-სატყეო-საბაზისო სანერგე მეურნეობა (ორგანიზაციული კოდი 3811)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა და გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)	ათვისება% (3/2*100)
1	2	3	4	5	6
სულ ასიგნება	518,4	415,9	-	-	80
ხარჯები მათ შორის:	387,2	350,7	685,2	335,0	90
საქონელი და მომსახურება	47,7	11,9	5,5	-6,4	25,1
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	336,9	336,9	-

სუბსიდიები	339,5	338,2	342,7	4,5	100
არაფინანსური აქტივების ზრდა	131,2	65,6	-	-	50

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის, „საქონელი და მომსახურების“ მუხლში (-6,4 ათასი ლარი), სხვაობა გამოწვეულია შემდეგით: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებისთვის მიღებული თანხა 3,0 ათასი ლარი დაემატა მშენებლობის ღირებულებას და დანარჩენი 3,4 ათასი ლარით შემცირებულია რბილი ინვენტარი და სხვადასხვა მარაგები. „სუბსიდიის“ მუხლში წარმოქმნილი სხვაობა 4,5 ათასი ლარი არის ნაშთებიდან ჩამოწერილი მარაგების ღირებულება.

სსიპ - „დაცული ტერიტორიების სააგენტო“ (ორგანიზაციული კოდი 3812), მათ შორის ბუნების დაცვის პროგრამა „სამხრეთ კავკასია - საქართველოს - ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში“ (კოდი 381510)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა და გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)	ათვისება% (3/2*100)
1	2	3	4	5	6
სულ ასიგნება	4 506,1	4 325,6	-	-	96
ხარჯები მათ შორის:	4 261,2	4 093,5	4 406,0	312,5	96
საქონელი და მომსახურება	280,0	268,0	334,2	66,2	96
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	525,9	525,9	-
სუბსიდიები	3 981,2	3 825,5	3 545,8	-279,7	96
არაფინანსური აქტივების ზრდა	234,8	222,5	-	-	95
ვალდებულებები	10,0	9,5	-	-	95

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის, „საქონელი და მომსახურების“ მუხლში (66,2 ათასი ლარი), სხვაობა წარმოადგენს ჩამოწერილი მატერიალური

მარაგების ღირებულებას რომელიც გადატანილია საცნობარო მუხლში, ხოლო „სუბსიდიის“ მუხლით წარმოქმნილი სხვაობა (-279,7) ათასი ლარი შესდგება შემდეგი თანხების ბრუნვებისგან: (პლიუს, 127,3 ათასი ლარი) წინა წლის ნაშთებიდან მარაგების ჩამოწერა, (მინუს, 9,3 ათასი ლარი) ფულადი გრანტით დაფარულია წინა წლის კომუნალური დავალიანება და (მინუს 397,7 ათასი ლარი) კოდი - 38 15 10-ით გათვალისწინებული ასიგნება, რომელმაც ასახვა ჰპოვა მხოლოდ საკასო ხარჯებში (მიზეზი ახსნილია აქტის შესაბამის ნაწილში).

სსიპ-„გარემოს ეროვნული სააგენტო“ (ორგანიზაციული კოდი 38 13), მათ შორის, „ევროპისა და ცენტრალური აზიის კლიმატის ცვლილების რისკის შესამცირებელ ღონისძიებათა განხორციელება“ (კოდი 38 15 09)

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა და გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)	ათვისება% (3/2*100)
1	2	3	4	5	6
სულ ასიგნება	12 961,0	12 699,4	-	-	98
ხარჯები მათ შორის:	2 820,3	2 789,0	4 694,6	1 905,6	99
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	1 979,5	1 979,5	-
სუბსიდიები	2 820,3	2 789,0	2 715,1	-73,9	99
არაფინანსური აქტივების ზრდა	10 139,0	9 909,2	-	-	98
ვალდებულებების კლება	1,7	1,2	-	-	70,5

ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის, „სუბსიდიის“ მუხლში, (-73,9 ათასი ლარი), სხვაობა წარმოადგენს მარაგების ზრდას 15,4 ათასი ლარით, ანგარიშვალდებულ პირებზე ირიცხება 6,2 ათასი ლარი და შეძენილია (კოდი 38 15 09) 52,3 ათასი ლარის ავტომატური სადამკვირვებლო ჯიხურები (რითაც გაზრდილ იქნა „არაფინანსური აქტივები“).

სსიპ - „მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო“ ორგანიზაციული (კოდი 38 14) მათ შორის, დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი (კოდი 38 15 02) (ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა და გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)	ათვისება% (3/2*100)
1	2	3	4	5	6
სულ ასიგნება	850,8	479,5	-	-	56,4
ხარჯები მათ შორის:	288,3	152,6	25,8	-126,8	52,9
სუბსიდიები	288,3	152,6	25,8	-126,8	52,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	562,5	326,8	-	-	58

დაფარულია წინა წლების კრედიტორული დავალიანებები (-126,8 ათასი ლარი; კოდი 38 15 02).

უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯებისთვის (ორგანიზაციული კოდი 38 15) ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ციფრობრივი ათვისების მდგომარეობა ასახულია ზემოთ მოცემულ ცხრილებში, რომლის აუდიტით დადგენილ იქნა შემდეგი:

2009 წელს საგრანტო რესურსებით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა - 1 368.5 ათასი ლარი, თანადაფინანსების სახით აღნიშნულ პროექტებზე გაიხარჯა - 38,3 ათასი ლარი (სულ 1 406,8 ათასი ლარი).

პროექტების მიხედვით:

- „დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის“ (ორგ. კოდი 38 15 02) ფარგლებში გაწეულია სულ 453,7 ათასი ლარის ხარჯი, აქედან 424,2 ათასი ლარის საგრანტო რესურსიდან (მსოფლიო ბანკის მიერ პირდაპირი წესით კომერციულ ბანკში სპეცანგარიშზე გადარიცხულია 36,9 ათასი ლარი აუდიტორისათვის, 90,0 ათასი ლარით დაფარულია კრედიტორული დავალიანებები და 277,0 ათასი ლარით გაზრდილია არაფინანსური აქტივების მუხლი), ხოლო 29,5 ათასი ლარის თანადაფინანსებიდან. პროექტს ახორციელებდა სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - „მდგრადი განვითარების პროექტების

განმახორციელებელი სააგენტო“, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 21 მაისის N268 ბრძანებულების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს ლიკვიდაციის შესახებ“ საფუძველზე ლიკვიდირებულია.

პროექტის სამოქმედო პერიოდი დასრულდა 2009 წლის 1 იანვარს. ხელშეკრულების თანახმად, პროექტის სამოქმედო პერიოდის დასრულების შემდგომ, ოთხი თვის განმავლობაში, კერძოდ 2009 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 30 აპრილამდე სრულდებოდა პროექტის დასკვნითი სამუშაოები. ამდენად, 2009 წელს განხორციელდა საკასო გადახდები წინა პერიოდში შესრულებულ სამუშაოებზე.

- „ხარაგაულის სათემო ტყის საცდელ პროექტს - KFW“ (ორგ. კოდი 38 15 11) პროექტის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით მინისტრის 2009 წლის 25 ნოემბრის Nი-571 ბრძანების თანახმად, საქვეუწყებო დაწესებულებას - „სატყეო დეპარტამენტს“ მიენიჭა პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების უფლებამოსილება. ამავე ბრძანების მე-6 პუნქტით დაევაღათ პროექტის ანგარიშის მომზადებაც, რაც არ შესრულებულა.

პროექტის განხორციელებისთვის საგრანტო რესურსებით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 409,4 ათასი ლარი, (ფაქტობრივ ხარჯში ასახული არ არის), ხოლო თანადაფინანსებაზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8,8 ათასი ლარი, რომელიც სატყეო დეპარტამენტის მიერ, პროექტის ფარგლებში შეძენილი სატრანსპორტო საშუალებების განბაჟებისათვის იქნა გადახდილი.

- ორგანიზაციულ კოდზე 38 15 09 - “ევროპისა და ცენტრალური აზიის კლიმატის ცვლილების რისკის შესამცირებელ ღონისძიებათა პროექტი” - 2009 წელს მსოფლიო ბანკმა გარკვეული მომსახურების შესყიდვა (137,1 ათასი ლარის) განახორციელა თვითონ, პირდაპირი გადარიცხვის მეთოდით და აღნიშნულ თანხას სახაზინო ანგარიში არ გაუვლია, ხოლო 33,1 ათასი ლარი წლის ბოლოს აისახა გრანტის განმკარგავის - სამინისტროს სსიპ-ს გარემოს ეროვნული სააგენტოს (ორგ. კოდი 38 13) საკასო ხარჯებში.

- ბუნების დაცვის პროგრამა “სამხრეთ კავკასია – საქართველო - ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში KFW” (ორგ. კოდი 38 15 10) საკასო ხარჯი გაწეულია 397,7 ათას ლარზე (169,0 ათასი ევროს ექვივალენტი ლარებში). აღნიშნულ

საგრანტო თანხებს ხაზინა არ გაუვლია და დონორის მიერ პირდაპირ იქნა ჩარიცხული პროექტის კონსულტანტის (WWF გერმანიის) ანგარიშზე. ზემოაღნიშნული ხარჯი სამინისტროს 2009 წლის ანგარიშში არ არის ასახული, როგორც ფაქტობრივი ხარჯი. გარემოს დაცვის სამინისტროსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KFW) შორის გაფორმებული განსაკუთრებული შეთანხმების მიხედვით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ანიჭებს უფლებამოსილებას გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KFW) შუალედური გადახდები კონსულტანტთან აწარმოოს პირდაპირი მეთოდით.

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში შეტანილი და სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების, ასევე საფინანსო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

დამტკიცებულ (04.12.09 წ.) და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობა (30%-ზე მეტი) გამოვლინდა შემდეგ ორგანიზაციულ კოდებზე:

„სამინისტროს ცენტრალური აპარატი“ (ორგანიზაციული კოდი 38 01) - „ვალდებულებების კლების“ მუხლი დამტკიცებულთან შედარებით გაიზარდა 6,8 ათასი ლარით, რომლითაც წლის დასაწყისში დაფარული იქნა 2008 წლის დეკემბრის თვის კომუნალური ხარჯები, რომლებზეც ვალდებულებები აღებული იქნა 2008 წელს მაგრამ საგადახდო მოთხოვნები დარეგისტრირდა 2009 წლის იანვარში;

„ტერიტორიული ორგანოები“ (ორგანიზაციული კოდი 38 02) - „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი დამტკიცებულთან შედარებით გაიზარდა 3,3 ათასი ლარით. რეგიონალურ სამმართველოებს წარმოექმნათ აღნიშნული მუხლით, დროებით შრომისუუნარობის ფურცლის და დეკრეტული შვებულებების ასანაზღაურებლად ხარჯების გაწევის აუცილებლობა;

„სატყეო დეპარტამენტი“ (ორგანიზაციული კოდი 38 06) - „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი დამტკიცებულთან შედარებით გაიზარდა 6,0 ათასი ლარით. ცვლილება განაპირობა დროებით შრომისუუნარობის ფურცლის და დეკრეტული შვებულებების ასანაზღაურებლად ხარჯების გაწევის აუცილებლობამ;

ასევე, „სხვა ხარჯების“ მუხლი გაიზარდა 80,0 ათასი ლარით „2008-2009 წლის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის

რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული კომპაქტურად განსახლებული მოსახლეობის სათბობი შემით მომარაგების ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 ოქტომბრის N655 განკარგულების შესრულების უზრუნველსაყოფად, თუმცა ათვისებული იქნა მხოლოდ 46,8 ათასი ლარი, ვინაიდან აღარ შეიქმნა შემით მომარაგების აუცილებლობა;

„სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა (ორგანიზაციული კოდი 38 11) - ”სუბსიდიების” მუხლი დამტკიცებულთან შედარებით გაიზარდა 129,0 ათასი ლარით: გარემოს დაცვისა ბუნებრივი რესურსების მინისტრის ინიციატივით, 2009 წლის გაზაფხულზე, დარგვის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით დაიწყო ახალი პროექტი “დარგე-ხე!-გაამწვანე შენი გარემო!”, ამ მიზანით სხვადასხვა სახის ნერგები მოსახლეობას უსასყიდლოდ დაურიგდათ.

„სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო“ (ორგანიზაციული კოდი 38 12 01) - “ვალდებულებების კლების” მუხლი დამტკიცებულთან შედარებით გაიზარდა 10,1 ათასი ლარით. აღნიშნული თანხით დაფარული იქნა წინა წლებში „დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის“ ფარგლებში წარმოქმნილი დავალიანებები.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდას შორის სხვაობები (1 778,0 ათასი ლარი; 15%-ზე მეტი) გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

საგამოძიებო დეპარტამენტის (ორგ. კოდი 38 04) ”საქონელი და მომსახურების” მუხლში აუთვისებელია 33,3 ათასი ლარი: არ განხორციელდა ზოგიერთი ხელშეკრულების გაფორმება მომსახურეობაზე და ასევე, მივლინებისათვის დაგეგმილი თანხის ათვისება; „არაფინანსური აქტივების” მუხლში აუთვისებელი დარჩა 16,0 ათასი ლარი, რომელიც იარაღების და კომპიუტერული ტექნიკის შემენისთვის იყო გათვალისწინებული;

სატყეო დეპარტამენტი (ორგანიზაციული კოდი 38 06) – დეპარტამენტმა მოსალოდნელი დარგის რესტრუქტურის გამო, თავი შეიკავა „საქონელი და მომსახურების” მუხლით დაგეგმილი 373,8 ათასი ლარის რეინჯერებისათვის დამლა-ნუმერატორების და ფორმის ტანსაცმლის შესყიდვაზე;

სსიპ სატყეო-საბაზისო სანერგე მეურნეობის (ორგანიზაციული კოდი 38 11) მიერ 102,5 ათასი ლარის აუთვისებლობა განაპირობა 2009 წლის შემოდგომით პოლონეთში დაგეგმილი სამუშაო სემინარის გადადებამ 2010 წლის გაზაფხულისთვის, ასევე, არ მოხდა კონტეინერული მეთოდით ნერგების გამოყვანისთვის სპეციალური მიწის სუფსტრაქტის მთლიანი მოცულობის შეძენა და შესაძენი სპეციალური სატვირთო ავტომანქანის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ მოხდა შერჩევა;

“დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი (მათ შორის, წინა წლებში შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა)” ორგანიზაციულ კოდი 38 15 02 – (71,0 ათასი ლარი) საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო პერიოდი დასრულდა 2009 წლის 1 იანვარს, რის გამოც ვერ განხორციელდა პროექტით დაგეგმილი ზოგიერთი ღონისძიება;

„ევროპისა და ცენტრალური აზიის კლიმატის ცვლილების რისკის შესამცირებელ ღონისძიებათა პროექტი“ (ორგანიზაციულ კოდი 38 15 09) - 33,1 ათასი ლარის აუთვისებლობა გამოწვეულია კურსთა შორის სხვაობით და იმ გარემოებით, რომ აღნიშნული პროექტით 2009 წლის გეგმით გათვალისწინებული სახსრებიდან (170,2 ათასი ლარიდან) ნაწილი 2009 წლის ბოლოს აისახა, როგორც მიზნობრივი გრანტი სსიპ - „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ კოდში (38 13).

2. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა

2009 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან ასიგნებები არ მიუღია.

3. გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშგებაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა

აუდიტის პერიოდში, ფულადი გრანტის სახით სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა 658,0 ათასი ლარი, მათ შორის, ნაშთმა წლის დასაწყისში – 38,1 ათასი ლარი შეადგინა. კერძოდ:

1. სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ (კოდი 38 13)

(ათას ლარებში)

გრანტის დასახელება	მუხლი	ნაშთი წ/დ	ჩარიცხული თანხა	საკასო ხარჯი
ევროპისა და აზიის კლიმატის შესამცირებელ ღონისძიებათა პროექტი (გრანტის NTF 054294) (142442 უცხოურ ვალუტაში)	არაფინანსური აქტივების ზრდა	38,0	–	27,3

2. სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“ (კოდი 38 12)

(ათას ლარებში)

გრანტის დასახელება	მუხლი	ნაშთი წ/დ	ჩარიცხული თანხა	საკასო ხარჯი
31/12/04 წლის განსაკუთრებული შეთანხმება გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა და საქ. ფინანსთა სამინისტროსა და საქ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის (BMZ N2002 70 322 – 400000 ევრო)	სუბსიდიები; არაფინანსური აქტივების ზრდა	–	228,7	226,5
კავკასიაში ტრანსსასაზღვრო კოოპერაციის ხელშეწყობის და ტყის ეკოსისტემების გადარჩენისათვის (ხელშეკრულება NGE0030 12/10/2008წ. – 4170 აშშ დოლარი)	სუბსიდიები	–	7,0	7,0
2009 წლისათვის ფინანსური დახმარების შეთანხმება აშშ შინაგან დეპარტამენტსა და „სამინისტროს“ შორის (35000 აშშ დოლარი)	სუბსიდიები; არაფინანსური აქტივების ზრდა	-	58,7	51,2
ევროპის საბჭოსა და სსიპ - „დაცული ტერიტორიების სააგენტო“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება - საქართველოში ზურმუხტის ქსელის პროექტის განხორციელების თაობაზე 2009 წ. (44000 ევრო)	სუბსიდიები	-	93,8	93,5

3. გარემოს დაცვის ინსპექცია (კოდი 38 07)

(ათას ლარებში)

გრანტის დასახელება	მუხლი	ნაშთი წ/დ	ჩარიცხ ული თანხა	საკასო ხარჯი	შენიშვნა
გარემოს დაცვის სფეროში შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ 16/08/2008 წლის IZ/2008072403	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,1	10,8	6,2	
ხელშეკრულება ადგილობრივი გრანტის შესახებ 17/03/2009 წლის 07.2051.6-001.00	არაფინანსური აქტივების ზრდა	–	31,1	–	დაუბრუნ და დონორ ორგანიზა ციას
	საქონელი და მომსახურება	–	10,2	–	

4. სსიპ - „სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა“ (კოდი 38 11)

(ათას ლარებში)

გრანტის დასახელება	მუხლი	ნაშთი წ/დ	ჩარიცხული თანხა	საკასო ხარჯი
2009 წლის 13 აგვისტოს ხელშეკრულების „სამხრეთ კავკასიაში სატყეო ლანშაფტის აღდგენის გზის კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული ზეგავლენის შემცირების პროექტი“ (100000 ევრო)	საქონელი და მომსახურება -	-	47,7	77,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	131,1	

2009 წლის სამინისტროს ნაერთი ბალანსის მიხედვით მიღებულია 2 513,8 ათასი ლარის სასაქონლო გრანტი, მათ შორის: 2 245,8 ათასი ლარი ძირითადი აქტივები, ხოლო 268,0 ათასი ლარის მატერიალური მარაგები. სასაქონლო გრანტები მიღებული და აღრიცხული აქვთ დაქვემდებარებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს.

4. დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მდგომარეობა და რეალობა

(ათას ლარებში)

დასახელება კოდი 37 00	ნაშთი 01.01.2009 წლის მდგომარეობით		ნაშთი 01.01.2010 წლის მდგომარეობით		2009 წელს წარმოშობილი		შენიშვნა
	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი	დებიტი	კრედიტი	
1	2	3	4	5	6	7	8
სულ, მათ შორის:	2 604,9	8 441,0	3 652,8	7 648,0	2 292,2	302,2	
შრომის ანაზღაურება	0,8	3 189,9	1,8	3 039,2	1,8	12,2	
საქონელი და მომსახურება	689,1	2 445,9	677,9	2 443,5	56,9	36,5	
სუბსიდიები	455,1	3,4	1 112,0	3,4	680,9	0	
სხვა ხარჯები	697,2	2 116,0	468,4	1 924,2	189,8	218,1	
არაფინანსური აქტივების ზრდა	762,7	685,8	1 392,7	237,7	1 362,8	35,4	

2009 წლის განმავლობაში დაფარულია წინა პერიოდებში წინასწარი გადახდებით წარმოქმნილი 1 244,3 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება. 2009 წელს წარმოიქმნა 2 292,2 ათასი ლარის დებიტორული დავალიანებები, მათ შორის: „უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების ხარჯებისთვის“ 807,0 ათასი ლარი, რომელიც ასახულია მხოლოდ საკასო ხარჯში; „სატყეო დეპარტამენტის“ მიერ წინასწარ გადახდილი მოსაკრებელი - 186,0 ათასი ლარი და „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიერ სხვადასხვა მომსახურებაზე და სამუშაოებზე, წინასწარ გადახდილი - 1 260,0 ათასი ლარი.

2009 წელს სულ დაიფარა 1 095,3 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანებები, მათ შორის: „აღსრულების“ ფონდიდან - 176,9 ათასი ლარი; „ვალდებულების“ მუხლით - 17,5 ათასი ლარი და „სხვა წყაროებიდან“ - 900,9 ათასი ლარი. აუდიტის პერიოდში წარმოშობილია 302,2 ათასი ლარის ოდენობის კრედიტორული დავალიანება, რომელიც წარმოექმნა სსიპ - „მდგრადი განვითარების

პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს“ შესრულებული სამუშაოების დაუფინანსებლობით.


დებიტორული დავალიანებების წარმოშობის დინამიკა წლების მიხედვით წარმოდგენილია გრაფიკულად:

(ათას ლარებში)



კრედიტორული დავალიანებების წარმოშობის დინამიკა წლების მიხედვით წარმოდგენილია გრაფიკულად:

(ათას ლარებში)



1.2 რეკომენდაცია:

- სამინისტროს ხელმძღვანელობამ, უზრუნველყოს საგრანტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული გადახდების (საკასო ხარჯები) შესაბამისი, ფაქტობრივი შეასრულების (ხარჯები) ასახვა ფინანსურ ანგარიშგებებში.

- სამინისტროს ხელმძღვანელების მიერ, შემუშავებული და გატარებული იქნას დამატებითი ღონისძიებები ბალანსზე რიცხული დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა შესამცირებლად და ახალ დავალიანებათა წარმოშობის აღმოსაფხვრელად.

2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა

2.1 აუდიტის შედეგების მიხედვით დადგენილი გარემოებები და შეფასება:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ნაერთი ბუღალტრული ბალანსები შედგენილია სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს მმართველობისა და კონტროლის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ წარდგენილი ბალანსების საფუძველზე. ამასთან მათ მიერ მიერ ანგარიშგების ფორმები (როგორც კვარტალურები ასევე წლიური) შედგენილია დამოუკიდებლად და წარდგენილი აქვთ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ვადების დაცვით.

სამინისტროს 2009 წლის ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგებები (როგორც კვარტალურები ასევე წლიური) შედგენილია მოქმედი სტანდარტების შესაბამისად და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენილია ვადების დაცვით.

აუდიტის მსვლელობისას გამოვლენილ იქნა ისეთი შემთხვევაც, როდესაც მიმდინარე დანიშნულების გრანტებით განხორციელებული პროექტების საკასო ხარჯები ასახულია ნაერთ ანგარიშგებებში, თუმცა არაა ასახული სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშგებებში. კერძოდ: „ბუნების დაცვის პროგრამა სამხრეთ კავკასია-საქართველო-ჯავახეთის ეროვნული

პარკის შექმნა საქართველოში“ – KFW (ორგანიზაციული კოდი 38 14 10) - 397,7 ათასი ლარი უნდა ასახულიყო სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ და „ხარაგაულის სათემო ტყის საცდელი პროექტის“ – KFW (ორგანიზაციული კოდი 38 14 11) – 409,4 ათასი ლარი სატყეო დეპარტამენტის ანგარიშგებებში.

2.2 რეკომენდაცია:

სამინისტროს ხელმძღვანელობამ და შესაბამისმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა, უზრუნველყონ საგრანტო რესურსებით გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის დროულად მოპოვება და მათი ასახვა ბუღალტრულ ანგარიშგებებში.

3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდგომარეობა

3.1 აუდიტის შედეგების მიხედვით დადგენილი გარემოებები და შეფასება:

2009 წლისათვის საქართველოს ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პრიორიტეტები:

პრიორიტეტი: გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფა

პროგრამა: „ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებები“

მიღწეული შედეგები: -გაცემულ იქნა გარემოზე ზემოქმედების 103 ნებართვა.

პროგრამა „ეკოტურიზმის განვითარება“: დაიბეჭდა საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკები: ინტენსიურად თავსდებოდა სარეკლამო ინფორმაციები საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ, ტელეკომპანია „იმედზე“, „რუსთავი2“-ზე და „პირველ არხზე“. ინტერნეტ გვერდზე www.myvideo.ge განთავსდა დაცული ტერიტორიების სარეკლამო ბანერი.

მიღწეული შედეგები: გაიზარდა დაცული ტერიტორიების ცნობადობა და ტურისტთა რაოდენობა.

პროგრამა „მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოები“

მიღწეული შედეგები: ნაპირდაცვითი სამუშაოები ხორციელდებოდა 53 ავარიულ უბანზე. ავარიული უბნების შერჩევისას პრიორიტეტი ენიჭებოდა უბნებს, სადაც საფრთხე ექმნებოდა ადამიანთა სიცოცხლეს, ისტორიულ-კულტურულ ძეგლებსა და რეკრეაციულ ზონებს.

პროგრამა „საქართველოში არსებული ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების შეგროვება, ხელმეორედ შეფუთვა და დროებით უსაფრთხო განთავსება“

მიღწეული შედეგები: 7 პუნქტიდან შეგროვებული იქნა 63 ტონა ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდები. პესტიციდები შეიფუთა და განთავსდა საგარეჯოს რაიონის სოფ. ბადიაურში სპეციალურად ამ მიზნით მოწყობილ საწყობში.

- 2 პუნქტიდან გატანილი იქნა 380 ტონა პესტიციდებით დაბინძურებული გრუნტი და განთავსდა იაღლუჯის შხამქიმიკატების სამარხის ტერიტორიაზე ამ მიზნით სპეციალურად მოწყობილ სამარხში.

- პესტიციდებისგან და პესტიციდებით დაბინძურებული გრუნტისგან დასუფთავებულ ობიექტებზე ჩატარდა სადეზაქტივაციო სამუშაოები.

პროგრამა: „დაცული ტერიტორიების ხანძარსაწინააღმდეგო და მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებები“

მიღწეული შედეგები: მინიმუმამდე შემცირდა ხანძრების რაოდენობა

პრიორიტეტი: „ეფექტური რესურსთსარგებლობით უზრუნველყოფა“

პროგრამა „მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის ღონისძიებები“

პროგრამის ფარგლებში 2009 წლის განმავლობაში გადაირიცხა განაღდებული 115397 მ³ შეშის ვაუჩერით ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი – 1 514,3 ათასი ლარი (გამოყოფილი იყო 529562,56 მ³ სათბობი შეშა).

პროგრამა „საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრის გეოდეზიურ კარტოგრაფიული სამუშაოები“

მიღწეული შედეგები: - საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის 670,0 კვ. კმ. ფართზე, პირველად შეიქმნა 1:10 000 მასშტაბის ქართულენოვანი ციფრული ტოპოგრაფიული რუკები WGS-84 -ის მსოფლიო კოორდინატთა სისტემაში, რომელიც აუცილებელია სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სახელმწიფო კომისიისთვის და საზღვარზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. უცილებელია აგრეთვე, თავდაცვის სამინისტროსა და სასაზღვრო პოლიციისთვის.

პროგრამა „სატყეო ღონისძიებები“

მიღწეული შედეგები:

- მოსახლეობის სათბობი შემოთ უზრუნველსაყოფად, გამოყოფას დაექვემდებარა 520,0 ათასი მ³ საშეშე ხე-ტყე.
- საექსპულატაციო ტყის ფონდის დადგენის სამუშაოები განხორციელდა სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის 50743 ჰა ფართობზე. დაზუსტებული ტყითსარგებლობის სალიცენზიო ობიექტები გაეგზავნა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აუქციონზე გასატანად.
- წაბლნარი კორომების გაჯანსაღება. ტყეების სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის გაუმჯობესება და ტყის აღდგენა. (სოკოვანი დაავადება - „ენდოტიით“ დაზიანებული წაბლის ზეხმელი და ხმობადი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება, ჭრის ნარჩენებისაგან ტერიტორიის გაწმენდა).

ნაწილი III- აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატაში, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N96.


აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები:

საქართველოს კონტროლის პალატის
(ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტი):


უფროსი აუდიტორი
ჯგუფის ხელმძღვანელი
ანა ალავერდაშვილი


ხელმოწერა 11.05.10წ.
თარიღი

აუდიტორები:
ზვიად ლეჟავა

 11.05.2010წ.
ხელმოწერა თარიღი

გიორგი კაპანაძე

 11.05.2010წ.
ხელმოწერა თარიღი